

პერსპექტიული განვითარების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) პერსპექტიული განვითარების სამსახურის მიზნებს, ფუნქციებს და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.
2. პერსპექტიული განვითარების სამსახური (შემდეგში - სამსახური) არის უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეული, რომელიც საქმიანობას წარმართავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. შიგა მოხმარებისათვის სამსახურს აქვს უგერბო ბეჭედი და ბლანკი.

მუხლი 2. სამსახურის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია და ფუნქციებია:
 - 1.1. უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება და მისი წარდგენა აკადემიურ საბჭოზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით;
 - 1.2. უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება;
 - 1.3. უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის გაცნობა ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის, განხილვაში მათი მაქსიმალური ჩართულობის მიზნით;
 - 1.4. უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის გაცნობა ყველა სტრუქტურულ ერთეულში განხილვის შედეგად შემუშავებული საბოლოო ვარიანტის წარდგენა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შესაბამისი კომისიისადმი, აკადემიურ საბჭოზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით;
 - 1.5. უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებების პროექტის შემუშავება და მისი წარდგენა აკადემიური საბჭოს შესაბამისი კომისიაზე შემდგომი რეაგირების მიზნით;
 - 1.6. უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური მონიტორინგი, შედეგების შეფასება და წარდგენა აკადემიური საბჭოს შესაბამის კომისიაზე;

- 1.7. უნივერსიტეტის მისიიდან და მიზნებიდან გამომდინარე ფაკულტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისათვის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენისათვის რეკომენდაციის მიცემა;
- 1.8. უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით წინადადებების შემუშავება და მისი რეალიზაციისათვის სამუშაოების ჩატარება;
- 1.9. უნივერსიტეტის ლაბორატორიებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საცდელ-ექსპერიმენტალური, საწარმოო ბაზების მუშაობის მონიტორინგში ჩართულობა;
- 1.10. უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მიერ დარგობრივი საწარმოო ტექნოპარკების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ დარგობრივი საწარმოო ტექნოპარკების და საცდელ-ექსპერიმენტალური ბაზების შექმნასა და ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება;
- 1.11. კომერციალიზაციის დეპარტამენტთან ერთად, უნივერსიტეტის ფაკულტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და ცენტრების მიერ შესრულებული სამუშაოების და ინოვაციური წინადადებების რეალიზაციაში მონაწილეობის მიღება.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც:
 - ა) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომელთა შორის;
 - ბ) კონტროლს უწევს სამსახურის საქმიანობას, თანამშრომელთა მიერ მათზე განპირობებული სამუშაოს ხარისხიანი, დროული და სრული მოცულობით შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.
 - გ) საჭიროების შემთხვევაში რექტორს წარუდგენს წინადადებას სამსახურის ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის აუცილებლობის შესახებ.
 - დ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას.
2. სამსახურის უფროს ჰყავს მოადგილე, რომლის უფლებამოვალეობები განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციით;
3. სამსახურში სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად.
3. სამსახურის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
4. სამსახურის უფროსის არ ყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის უფროსის მოადგილე,

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანას განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი).
3. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და სამსახურის ლიკვიდაციის შემთხვევაში.